

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65

16 ივნისი 2021 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მალხაზ ცერცვაძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, შოთა გიორგაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გია ოჩხიკიძე, კობა მაგნიძე, ტარიელ ბარამიძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - მალხაზ ცერცვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 01 ივნისის მდგომარეობით.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში 01 ივნისის მდგომარეობით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 6900,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 700,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში ოთხჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 12711,8 ათასი ლარის, გადასახდელები 14012,3 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ათასი ლარის მოცულობით.

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 12711,8 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში მობილიზებულია 5253,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 41,3% -ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების წლიური გეგმა 14012,3 ათასი ლარია, საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებაა 5538,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 39,5%.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

გადაწყვეტეს;

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მალხაზ ცერცვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე